# სამშობლო

წ. I

შაბათი 6 ივნისი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 97 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 97


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სამშობლო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



3 ამა ივნისს, ს. გეჯეთში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აზნაური

**კონსტანტინე დავითის ძე ჯავახია.**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ბახვა, საჩინო და გიორგი კონსტანტინეს ძენი, ასული დესპინე გეგენავასი, რძლები: კატო, პატკუ, და ქსენია ჯავახიების მეუღლენი, სიძე კირილე თემურაზის ძე გეგენავა.

მიცვალებულის გასვენება დანიშნულია კვირას, 7 ივნისს, დილის ცხრა საათზე, ს. გეჯეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, სადაც იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი. 2—1—442.

ქვრივი პასიკო ივანეს ასული აბულაძისა, ვერა ლუკას ასული იოსელიანისა, ეკატერინე, ნინო და ბაგრატი აბულაძენი და ვარლამ ივანეს ძე იოსელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი მეუღლისა, მეორენი მამისა და მესამე სიმამრისა

**ლუკა მამუკას ძე აბულაძისას.**

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება დანიშნულია კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. მესხეთის ქუჩის შესახვევი, საკუთარი სახლი. 1—2—446.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების

**წლიური კრება**

შესდგება შავი ქვის საბჭოს დარბაზში 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის არჩევნები, 2) ანგარიშის განხილვა.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა **სამშობიარო განყოფილება**, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** რელიზიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

**ექიმი გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა მოაგონებს განყოფილების წევრთ, რომ მდგომარე წლის შვიდ (7) ივნისს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების

**წევრთა საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის მოხსენება სხვადასხვა საგნებზე; 4) 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა იმათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

1915 წლის ანგარიშები თავის დროზე დარიგებული იყო. 1913 და 1914 წლების ანგარიში ბბ. წევრთ შეუძლიათ მოიკითხონ შავი ქვის საბჭოში. 1—1

ძმათა **ქორქოლაძეების** მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **გაგრძელება საზოგადო კრებისა** დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში შაბათს, 6 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების მოსახდენათ. 1—1

ამით ვაცხადებ, რომ ჩემდამი რწმუნებულ **ცაგერის უღამლეს დაბაწყისს** სასწავლებელში

**განმეორებითი გამოცდა**

(переэкзаменовка) დაიწყება 3 აგვისტოს ამა 1915 წ., სწავლა 7-ს და მისაღები გამოცდები, 27 იმავე აგვისტოს.
3-1 447 ინსპეკტორი **ჯგუში.**


# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 3 ივნისი. ოფიციალური ამ უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან. მდ. ვინდავის მახლობლათ დაბა ლიაცკოვთან გერმანელების იერიშები სამი დღის განმავლობაში უშედეგოთ დასრულდა. 2 ივნისის ბრძოლა რუსებისთვის ხელსაყრელად დასრულდა. პოპელიანის რაიონში რუსის ჯარი ვენტაზე გადავიდა. უკან წასულ მტრის ჯარის დევნის დროს რუსების ცხენოსნებმა დახოცეს რამდენიმე ასი გერმანელი და რამდენიმე ათეული დაატყვევა. ქ. შავლასთან ბრძოლა გრძელდება. ხან ერთი მხარეა გამარჯვებული, ხან მეორე. ზოგი სოფლები ხელიდან ხელში გადადის. 2 ივნისს ღამით გერმანელებმა ოსოვეცს ზარბაზნები დაუშინა, მაგრამ უკვე ღამის 2 საათისათვის ციხის ბატარეებმა სძლია. შუა ნემანიდან დასავლეთით მდებარე პირზე 1 და 2 ივნისს გერმანელების ჯარი მიუხედავათ დიდი ზარალისა ბევრ ადგილას შეეცადა იერიშების მიტანას. მარიამპოლიდან აღმოსავლეთით მდებარე რაიონში კონტრ-იერიშების დროს, რუსებმა რამდენიმე სოფელი დაიპყრეს, რომელნიც წინეთ გერმანელების ხელში იყო. ნარიოვის პირზე ომულევის ველზე დიდი ბრძოლაა. ორჟიცას ველზე 2 ივნისს ღამით გერმანელებმა დიდძალი ბატარეებიდან სროლა დაუწყეს სოფ. ედნოროჟეცს; სულ ცოტა დროს განმავლობაში მან რამდენიმე ათეული ყუმბარა გამოისროლა. შემდეგ დღისით გერმანელები რამდენიმეჯერ შეეცადენ რუსების სანგრების წინააღმდეგ იერიშების მიტანას, მაგრამ ვერა გააწყო რა. მხოლოდ დაიპყრო სრულიად განადგურებული სანგრები რუსების ერთი პოლკისა. პრასნიშიდან ჩრდილოეთით ენერგიული კონტრ-იერიშებით რუსებმა დაიპყრეს ყველა თავისი მოწინავე პოზიციები.

## გემის ჩაძირვა.

**ლონდონი.** 3 ივნ. ლოიდის სააგენტოს ატყობინებენ, რომ ლივერპულიდან მიმავალი ნორვეგიის გემი „დავანგერი“ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გიბრიდის კუნძულთან.

**ცეტინიე.** 2 ივნ. გუშინ მოვიდენ ჩერნოგორიისთვის სანოვაგით დატვირთული გემები. ეს გემები ალბანიის ნაპირებთან გაძარცვეს. მთავრობამ ეს შემთხვევა მოკავშირეებს აცნობა.

## ინგლისის სამხედრო კრედიტი.

**ლონდონი.** 3 ივნ. ასკვიტმა შეიტანა პალატაში წინადადება 250 მილ. გირ. სტერლინგის გადადების შესახებ. ასკვიტის სიტყვით შარშანდელი ყოველდღიური სამხედრო ხარჯი უდრიდა მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგს, დღეს კი ეს ხარჯი 2,860,000 უდრის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხარჯი სამ მილიონამდე ავა ომი თანდათან ჭიანურდება და ჩვენი მოკავშირეებისადმი ფინანსიური დახმარება იზრდება. მდგომარეობის შესახებ ასკვიტმა განაცხადა, რომ იტალიის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება კაბინეტში მომხდარ ცვლილებას, ამის შესახებ ასკვიტმა განაცხადა, რომ ნაციონალური პოლიტიკა აუცილებლათ სცნობს ომის გაგრძელების საჭიროებას, რა ფასათ არ უნდა დაგვიჯდეს. ამისთვის საჭიროა, რომ მთავრობას უბრალო პარტიული მიკერძება არავინ დასწამოს. პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა მტერსაც და მოყვარესაც დიუმტკიცებს, რომ ერთი წლის შემდეგ ინგლისელები დღეს კიდევ უფრო თავგამოდებით დაიცავენ შეერთებული ძალებით თავის პოლიტიკურ, ზნეობრივ და მატერიალურ უფლებას. დღეს ჩვენ ვალდებული ვართ სახელმწიფოს წინაშე ყველა კლასების დახმარებით ჩვენი ვალი მოვიხადოთ. ეს შემთხვევა, ვისურვებ, რომ აღნიშნული იქნეს ჩვენ მატიანეში და აი მხოლოთ იქ შეგვიძლია ვიამაყოთ.

**ლონდონი.** 3 ივნ. თემთა პალატაში დილონმა განაცხადა ირლანდიის ნაციონალისტების მხრით: თუმცა ჩვენ ძალიანა ვნანობთ, რომ ძველი მთავრობა დავკარგეთ, მაგრამ ამასთანავე გადავწყვიტეთ ახალ მთავრობას დავეხმაროთ და ამასთანავე უფლებას ვიტოვებთ მთავრობის ყოველ ნაბიჯს კრიტიკის თვალით შევხედოთ. ყოველი ჩვენი გამოსვლა გულწრფელი იქნება და მზათა ვართ დავეხმაროთ მთავრობას ომის საბედნიეროთ დასამთავრებლათ, ასკვიტი ამ განცხადებას სიხარულით მიეგება. ასკვიტმა აღნიშნა დარდანელის მოქმედება და განცხადება, რომ ამ ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა აქვსო, რამდენათაც მე შემიძლია განვსაჯო, ეს მოქმედება ჩვენ ბოლომდი უნდა მივიყვანოთ. ის დიდათ უმაღლის პალატას თანაგრძნობისა და ახალი მთავრობისადმი დახმარებისათვის.

**ლონდონი.** 3 ივნ. პალატამ ერთხმათ მიიღო დამატებითი სამხედრო კრედიტი.

## იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 3 ივნ. მთავარ ბინის ცნობა. ტიროლში ტრენტინოს ფრონტზე და კადორში ჩვენ წინ მივიწევთ. ამ რაიონში მტერს იერიში არ მოუტანია. მტერი ენერგიულ მოქმედებას იჩენს კარნიაში შესასვლელათ. უფრო ენერგიულია მტრის მოქმედება ავოსტანის ქედთან მონტეკროჩეს ხეობაში, აქ მტრის იერიში მოვიგერიეთ, მონფალკონში ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ მტერი ფორტიფიკაციას ამაგრებს. იზონცოს ფრონტზე ჩვენ გავამაგრეთ აღებული სანგრები.

## დარდანელი.

**ლონდონი.** 3 ივნ. ოფიციალური. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოქმედება პოზიციურ ბრძოლათ გადაიქცა. 22 მაისს ჩვენი გამარჯვების შემდეგ ოსმალონი შიშობენ ჩვენი მოქმედების გამო, რადგან დღე და ღამე ჩვენ მათ სანგრებს ვართმევთ, 30 მაისს ჩვენმა ორმა პოლკმა იერიში მიიტანა ოსმალოთა მოწინავე სანგრების წინააღმდეგ და სასტიკი ბრძოლის

შემდეგ გამაგრდა აღებულ ადგილში, 31 მაისს ოსმალონი კონტრ-იერიშით მოვიდენ, მაგრამ მათ ჩვენმა ფლოტმა ცეცხლი დაუშინა და მოსპო. საერთოთ ჩვენი მდგომარეობა სახეიროა. მაგრამ ადგილის მთაგორიანი მდებარეობის გამო ჩვენ ძლიერ ნელა მივიწევთ წინ. ოსმალოთა იერიშები შესუსტდენ.

**სოფია.** 3 ივნ. ოსმალეთის ელჩი ბოლგარიაში ფეხტი-ბეი დაინიშნა დივიზიის უფროსათ გალიპოლში. მის მოადგილეთ დაინიშნა ჯამალ-ბეი.

### გერმანელთა ჰაეროპლანები მიტ. მაზრაში.

**მატავა.** 3 ივნ. მაზრის ქალაქში დილის ცხრა საათზე მტრის ჰაეროპლანმა ჩამოყარა ორი ყუმბარა. ერთმა ყუმბარამ მოკლა დარაჯის ცოლი, მეორემ დააზიანა ღობე.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 3 ივნ. ინგლისელებმა დაიკავეს ლაბასეს დასავლეთით სანგართა ერთი ხაზი. გერმანიის ჰაეროპლანი იძულებული შეიქნა ჩვენ ბანაკში დაშვებულიყო. ავიატორები დავატყვევეთ.

**ჰავრი.** 3 ივნ. ბელგიის ცნობა. ჩვენ დავზვერეთ მეეის კოშკთან მდებარე ადგილები დიქსმიუდეს გზაზე. დაზვერვის შემდეგ ჩვენ დავმკვიდრდით კოშკის დასავლეთით. სანგრები მტერმა დასცალა და მოკლულები დასტოვა, მთელი დღე საარტილერიო სროლა იყო ჰიმსკაპელლესთან, პრევიზე, ნორდშოტე, რემინგე და მათ მიდამოებში.

**სტოკჰოლმი.** 3 ივნ. გერმანიის მთავარი ბინა იუწყება, რომ მოკავშირეებმა დიდის ძალებით იერიშები გააძლიერეს. ინგლისელებმა იპრთან დაიკავეს გერმანელთა პოზიციები. გერმანელები ადასტურებენ აგრეთვე, რომ რუსებმა ჟურავნოსა და დნესტრის ჰაობთან ისევ წინ წაიწიეს.

**ლონდონი.** 3 ივნ. საადმირალო იუწყება, რომ ცეპელინმა ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებში ყუმბარები მოშაყარა, რამაც ცეცხლის გაჩენა გამოიწვია. მოკლულია 15 და დაჭრილია ამდენივე.

### შვეციის გემის შეცყრობა.

**გეტებორგი.** 3 ივნისი. გერმანიის დამხმარე კრეისერმა შეიპყრო შვეციის საფოსტო გემი „ტორსტენი". გემის პატრონის განცხადების თანახმათ გემზე იმყოფებოდა 6 მგზავრი და 127 საფოსტო ამანათი. არავითარი კონდრაბანდი გემზე არ ყოფილა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 3 ივნისი. იპრის ჩრდილოეთით ინგლისელებმა დაიკავეს მტრის სანგართა ხაზი. ლაბასესთან აღებული ადგილი ვერ შევინარჩუნეთ. არასის ჩრდილოეთით რამდენიმე ადგილას წინ წავიწიეთ. მაგ., ლორეტის აღმოსავლეთით, სუშეს სამხრეთ-დასავლეთით და ლაბირინტში. ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 კაცი. ვიხელთეთ რამოდენიმე ტყვიის მტყორცნელი. ტუვენის ფერმას გერმანელები სასტიკათ ესროდენ. კენვიერის ფერმასთან იერიში მოვიგერიეთ და ტყვეთ წამოვიყვანეთ ას-ოცამდე, მათ შორის ორი აფიცერია, მტერი რეიმსს ესროდა. გამოისროლა ასამდი ყუმბარა. რამდენიმე ყუმბარა ტაძარს მოხვდა. ვოგეზში ფეხტის ორივე ნაპირზე ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით. ამ მდინარის ჩრდილო ნაპირზე ჩვენ დავიკავეთ ბრაუნკოპფი. წამოვიყვანეთ 340 ტყვე ოთხი აფიცრით. ვიხელთეთ დიდძალი სამხედრო სურსათი, თოფები და ნახევარი მილიონი პატრონები. 2 ივნისს მტრის ჰაროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს ნანსიზე, სენ-დიე და ბელფორზე. დაიჭრა რამოდენიმე მოქალაქე მხოლოდ ნანსში.

### ხმები კერძო წყაროებიდან.

**ათინა.** 3 ივნისი. კერძო წყაროებიდან იუწყებიან, რომ იტალიელებმა ვალონიდან დაიკავეს სტეფანი, ფიერი, ორი ადგილი ბერატის ოლქში და ახლა ბერატს უახლოვდებიან.

### „ბრესლაუ"-ს დაზიანება.

**ათინა.** „ბრესლაუ" საგრძნობლათ დაზიანდა. მოკლულია 12 აფიცერი და 80 მატროსი. აგრეთვე ჩაიძირა ოსმალთა რამდენიმე ნალმოსანი და ორი ტრანსპორტი ქვანახშირით.

### გემების ჩაძირვა.

**სტოკჰოლმი.** 3 ივნისი. გეტებორგიდან იუწყებიან, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ნორვეგიის ნაპირებთან ჩასძირა შვეციის გემი „ფრანდისი". კომანდა გადარჩა.

### გერმანიის წყალქვეშა ნავის ჩაძირვა.

**სტოკჰოლმი.** 3 ივნისი. ბერლინიდან ოფიციალურათ იუწყებიან წყალქვეშა ნავის У 4 ჩაძირვის შესახებ.

### სპარსეთი.

**ისპაანი.** 2 ივნისი. გერმანიის კონსულმა დაიბარა ყაჩაღთა მეთაური მაშალახანიკაშანსკი ისპაანში ხალხი გამოეგზავნა. ჟანდარმერიის უფროსმა, კაპიტანმა გლეერუპმა განაცხადა, რომ ყაჩაღებს ქალაქში არ შეუშვებს და ჯარი დააყენა საზვერავათ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ნეიტრალიტეტის დაცვა.

ამა წლის 12-სა (25-ს) მაისს შვეიცარიის მისსიამ პეტროგრადში შემდეგი ცნობა წარუდგინა საქ. გარეშე მინისტრს ს. დ. საზონოვს: „თქვენო აღმატებულებავ, იტალიასა და ავსტრიის შორის არსებულ ომის გამო ფედერატიულმა მთავრობამ მომანდო, მოვაგონო იმპერატორის მთავრობას რომ შვეიცარია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიცავს".

ასეთივე ნოტა ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ გარდასცა ს. დ. საზონოვს მისიამ პეტროგრადში.

### სალიტერატურო კონვენცია.

იუსტიციის სამინისტროში მინისტრის თანაშემწის ა. ნ. ვერიოვკინის თავმჯდომარეობით მოხდა საუწყებათაშორისო თათბირი განსახილველათ იმ საკითხისა, რომ რუსეთსა და იტალიას შორის შეკრულ იქნას პირობა სალიტერატურო და მხატვრული საკუთრებათა დასაცავათ.

**პარიზი.** 23 მაისი ლლოიდ-ჟორჟმა მიიღო 23 მუშათა ორგანიზაციას დეპუტატი და განუმარტა მათ აუცილებლობა მთელი ძალღონის გამოჩაღებათ. დელეგატებმა აღუთქვეს მოაწყონ შრომა რაც შეიძლება მეტათ ინტენსიურათ.

### ბრაიანის გადადგომა.

ნიუორკიდან იუწყებიან, რომ ბრაიანის სამინისტროდან გამოსვლამ საზოგადო აზრზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკაში. მთელს ამერიკაში ვილსონის ენერგიულმა გამოსვლამ მოიპოვა თანაგრძნობა. წინააღმდეგ გაკიცხულია ორაზროვანი მოქმედება ბრაიანისა, რომელმაც გერმანიის მიმართ მუქარის ნოტაზე ხელი მოაწერა და შემდეგ უარყო იქედან გამოეყვანა საჭირო დასკვნა ამერიკის ინტერესების და ღირსების დასაცველათ. ბრაიანი ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს განხეთქილობა დემოკრატთა პარტიაში. გაგზავნილი ამერიკის ნოტა კი უკვე შეუცვლელათ ითვლება. მთავრობამ მიიღო სამხედრო საზღვაო ზომები.

გერმანიის პრესა ბრაიანის გამოსვლას საკმარისი სიმშვიდით აღნიშნავს.

„ლოკალ-ანცაიგერი" დარწმუნებულია, რომ გერმანიის მთავრობა გამონახავს საშუალებას დღევანდელი მდგომარეობის მშვიდათ გამოსარკვევათ. მხოლოთ „დოიტშე ტაგესცაიტუნგი" მუქარის კილოთი აცხადებს, რომ ამერიკის მოთხოვნილება შეურაცმყოფელია გერმანიისათვისო.

ბერლინის ბირჟაზე ამ მდგომარეობის გამო ფასიან ქაღალდების ღირებულებამ აიწია.

### მობილიზაცია პორტუგალიაში.

ლისაბონში საზოგადო აზრი აღშფოთებულია პორტუგალიის გემის დაღუპვით გერმანიის ნაღმების გამო და მოითხოვენ საზოგადო მობილიზაციას.

ბერლინის ცნობებიდან მობილიზაცია უკვე მოხდა კიდეც.

### ა ლ ბ ა ნ ი ა.

როგორც ბერლინიდან იუწყებიან, ესსად-ფაშა მიემხრო იტალიას და ჩერონგორიას და გამოაცხადა თავის თანხმობა იტალიელ მეზღვაურებისაგან დურაცოს დაჭერაზე.

# იმპერიალიზმი და ამერიკის ახალი სოციალისტები.

ოქროით გაღალებული ამერიკელნი ომამდე ევროპას შორიდან უყურებდენ, „ამერიკა ამერიკელებისათვისო" იძახოდენ და ამერიკული ბაზრით კმაყოფილდებოდენ. მათი დევიზი იყო: რასაც მოიხვეჭ შენია, რაც არა დაკარგულია და იხვეჭდენ და იხვეჭდენ მილიარდებს... ომი მათ სულ არ აფიქრებდა, ვინაიდან მათი მოსაზღვრე ველურები და სახელმწიფონი იმდენათ სუსტები იყვენ, რომ მისთვის ისინი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდენ; შინაც ჩრდილოეთელ ზანგთა განმათავისუფლებელ ომების შემდეგ არავითარი შეიარაღებული „აჯანყება" არ იყო მოსალოდნელი. ამიტომ ომის შესახებ ამერიკელთ ევროპის დიპლომატიის რწმუნება, რომ ომი არ მოხდება, კონფლიქტები მშვიდობიანათ დამთავრდებაო, ღრმათ სწამდათ და უკანასკნელ დღემდე დაჟინებით გაიძახოდენ: „ყველაფერი ეს (ხმები ომის შესახებ) სისულელეა და ყმეღობაა, ომი ჩვენ მაინც არსაიდან არ გვემუქრება. ჩვენთვის ომი არ არსებობს, თუ რასაკვირველია, ჩვენ თვითონ ამას არ მოვისურვებთო".

მაგრამ იმ დღიდანვე როგორც კი მოესმათ მათ ევროპის ნაპირებიდან თოფი ზარბაზნის ხმა, მათ ფანტაზიას მაშინვე ომის გასისხლიანებული აჩრდილი თვალწინ დაეხატა და ნათლათ დაინახეს, რომ „ახალგაზდა გერმანიის შეიარაღებული კაპიტალიზმი" არც მათ უქადის კარგ რასმე; დაინახეს, რომ მომავალში შორეულ აღმოსავლეთის ბაზარზე მათ გერმანიის მეტოქეობასთან ბრძოლა მეტათ გაუჭირდებათ, თუ დღესვე მათაც იარაღი არ აისხეს და ამით გერმანიის შეიარაღებულ „იმპერიალიზმს" ლაგამი არ ამოსდეს, ე. ი., თუ თვითონვე „მილიტარისტული იმპერიალიზმი" არ ატარეს, რომლითაც დღეს გერმანია მთელ „აჯანყებულ მსოფლიოს" უმკლავდება.

დღეს შეიარაღების საქმე, მხედრობის გაძლიერება, ერთი სიტყვით „მილიტარიზმი" ამერიკაშიაც მთავარ საჭირ-ბოროტო კითხვათ გადაიქცა.

ამას წინათ ამერიკის დედა-ქალაქში, ნიუიორკში ამ საკითხის გამოსარკვევათ დეპუტატ გარდნერსა და ამერიკის სოციალ-დემოკრატიის ლიდერს მორის ხილკვიტს შორის საჯარო დისპუტი გაიმართა. დეპუტატი გარდნერი ასეთ „მილიტარისტულ იმპერიალისტურ" დებულებას იცავდა: „თავისი ქვეყნის უშიშროების დასაცავათ—საჭიროა შეერთებულ. შტატ. სამხედრო ძალები გაადიდოს". „კარგა ხანს იიცნება ევროპამ, ენა-წყლიანი და ორპირი დიპლომატების ზედგავლენით და ომის თავიდან აშორება საქვეყნო ღირსების „სამშვიდობო კონფერენციების" საშუალებით მოინდომა, ომი ევროპაში არავის სჯეროდა განაგრძობს გარდნერი, და თითქოს ყველა მისი წინააღმდეგი იყო; მაგრამ როგორც კი გამოცხადდა, სხვადასხვა ქვეყნის მუშები, მაშინვე გაიფთრებულნი ეცენ ერთმანეთს ამოსაჟლეტათ". აქედან გარდნერის აზრით, ომი ყოველთვის არის მოსალოდნელი, ამიტომ ამ მოსალოდნელ ხიფათისთვის სახელმწიფო ყოველთვის მზათ უნდა იყოსო. დეპუტატი სტატისტიკურათ ამტკიცებს, რომ ამერიკა ამ მხრით მეტათ სუსტია და შედარებით ის დროს განმავლობაში არ ძლიერდება; ე. ი. ამერიკა არმიას ისე არ აძლიერებს, როგორც ამას ევროპაში შვრებიან.

აქედან ევროპის „მილიტარიზმი" ისეთსავე საჭიროებას წარმოადგენს ამერიკისათვის, როგორც ევროპის კაპიტალიზმისათვის. ეს დებულება იმდენათ დასაბუთებული შეიქნა, რომ ამის გამო დისპუტზე თვითონ გარდნერის ოპონენტმა ს. დ. ხილკვიტმა აღიარა, რომ ეს პოზიცია კაპიტალისტური თვალსაზრისით სრულ სინამდვილეს და ჭეშმარიტ ლოღიკას წარმოადგენსო". მარა, მიუხედავათ ამისა, ხილკვიტს ამერიკასთან ომი შეუძლებლათ მიაჩნია, ვინაიდან ამერიკის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მასზე თავდასხმა გერმანიისთვისაც კი არაა ხელსაყრელი და მოუხერხებელიცაა... აქედან დასკვნის, რომ თუ თვითონ ამერიკა თავს არ დაესხმის სხვას, ისე მის წინააღმდეგ არავინ გაილაშქრებსო.

განა ამასვე არ ამბობს ყველა რუსეთზე და ევროპის სხვა რომელიმე სახელმწიფოზე? მხოლოთ გერმანიის შესახებ ვერ შეთანხმებულან! თითქო „თავდამსხმელი იმპერიალიზმის" მატარებელი გერმანია იყოს ამ ქვეყნათ!

გერმანია ისეთივე „თავდამსხმელია" სახელმწიფოთა შორის, როგორც გერმანიის ერი ერთა შორის. მარა, როგორც ინგლისელი თანამედროვე მეცნიერ-პუბლიცისტები ამტკიცებენ „თავდაცვის ნაციონალიზმი" ყოველთვის თავდამსხმელ ნაციონალიზმათ იქცევა ხოლმე. სწორეთ ასევეა იმპერიალიზმის შესახებაც.

„თავდაცვის იმპერიალიზმი", რითაც დღეს თავი მოაქვთ „სამთა შეთანხმების" მოკავშირეებს—ინგლისს, რუსეთს, საფრანგეთს, ბელგიას და სხვას... ყოველ შემთხვევაში მზათაა „თავდამსხმელ" იმპერიალიზმათ გახდეს და გერმანიის ძლევამოსილება მტრათ აქციოს! ასევე ითქმის ამერიკაზედაც: მისი იმპერიალიზმი, ისე როგორც კაპიტალიზმი ახალია მხოლოთ ისტორიულათ; არსებითათ ისეთივეა, როგორიც არის ევროპის იმპერიალიზმი საზოგადოთ და გერმანიის კერძოთ.

მაშ, რა არის ახალი ამერიკის ამ „ახალ იმპერიალიზმში"? იკითხავს მკითხველი.

— მხოლოთ ის, რომ იგი ახლა, კაცობრიობის განახლების განთიადისას იწყებს აღორძინებას და ლამის ტანჯული კაცობრიობის ძლევა-მოსილ წინ-მსვლელობას გადაეღობოს და მისი ბრწყინვალე მომავალი სისხლის ლაქებით ერთხელ კიდევ შეღებოს.

**დე—ლი.**

# ებრაელის აზრი.

(დასასრული იხ. „სამშობლო" № 96.)

ვისაც საღი მოსაზრება აქვს,მიხვდება რომ გერმანელების გამარჯვება ებრაელების ნაციონალური იდეიის დამხობა არის, რადგანაც ჩვენი ყოველი მისწრაფება ისტორიაში, პოლესტინის აღდგენაა და ებრაელების ტრადიციონულათ და ეროვნულათ ბიბლიის ენის გაცოცხლებაა; გერმანელებს—კი, როგორც ახალი მანქანები აქვთ ადამიანის მოსაკლავათ შემოღებული, ისე მუხრუჭები სხვა ერების ჩასაყლაპავათ, აი მაგალითიც: ხაიფაში ებრაელობამ პოლიტეხნიკუმიააგო. ამის ინიციატორები იყვნენ გერმანელების ილფსფერაიბი, ამერიკის ებრაელების ფილანტროფები, მოსკოველი ვისოცკის მემკვიდრეები და სიონისტების კომიტეტი. როდესაც იგი დამთავრდა ილფსფერაინის წარმომადგენლებმა ჯემს სიმონმა და ნატენპაოლმა მოითხოვეს, რომ ოფიციალური ენა უნდა ნემეცური იყოსო, სხვებმა გაკვირვებით უთხრეს: ნემეცურ ენას უპირატესობა არ მიეცემაო, ჩვენ პალესტინაში იმიტომ გვინდა სასწავლებლები რომ ჩვენი ბიბლიის ენა უნდა იყოს ბატონიო, გერმანიის ებრაელობამ იმდენი იბრძოლა, ვიდრე თავისი არ გაიყვანა და გერმანული ენა არ გაამატონა სასწავლებელში. ამ მოვლენას „ბერლინელ ტაგებლატი" და „ბერლინელ ცაიტუნგი" სიხარულით შეხვდენ და ერთმანეთს ულოცავდენ: „ჩვენი ენა ქარმელის მთის ძირშიც გამეფდაო", მისი გამარჯვებით ტურციის პალესტინას აქტიური პატრონი ის ეყოლება. და, რა საკვირველია, თავის ხალხს გადასხამს, საკუთარ ახალშენებს შექმნის და გაამატონებს თავის ენას და ჩვენს ახლათ წამოცოცხლებულს ენას—კი თავისი ძლიერი გავლენით აკვანშივე მოახრჩობს.

რუსეთ-ინგლისისა და საფრანგეთის გამარჯვებით კი ჩვენს ერს დიდი იმედი მოელის. პალესტინა, როგორც ეგვიპტის მეზობელი, მგონი, ინგლისსა დარჩეს, და როგორც კოლონიალური სახელმწიფო, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს ერს დიდს თავისუფლებას მისცემს ეროვნულ კულტურის განვითარების საქმეში.

ამიტომაც არის, რომ სიონისტებს გარდა მილანში (იტალიაშია) ინგლის ამერიკისა და იტალიის ებრაელების კომიტეტი შესდგა, რომლებსაც ბევრი გამოჩენილი ქრისტიანებიც ეხმარებიან, ადოლფი ლუცატოს მეთაურობით რომლის მიზანიც არის მოამზადოს დიპლომატები და პოლიტიკური მოღვაწეების აზრი საერთო სამშვიდობო კონფერენციისადმი, რომელნიც განიხილავს დაჩაგრულ წვრილი ერების საჭიროებას და აღმოუჩენს საშუალებას. ამ კონფერენციის დროს გაირჩევა პალესტინის დაბრუნების საკითხიც. საყურადღებოა, რომ თვით კათოლიკების ვატიკანი ამათ მხარ უჭერს და დახმარებას პირდება.

აღვნიშნეთ ის, რასაც ველით ჩვენ ოთხთა კავშირის გამარჯვებით; „ნოვოე ვრემიის" და „ზემშჩინის" შავი ფარდა ჩვენს სიმართლეს ვერ დაჩრდილავს. გერმანელების მილიტარიზმის დამხობა სრულიად ეთანხმება ჩვენს ძველებურ მისწრაფებასა და იდეიას.

„არც ღონე და არც ძალა, მხოლოდ წმინდა სული" ხმალი ჯოხათ იქცეს, თოფი ბალახათ, ერი ერს აღარ ერჩოდეს, მგელი და კრავი ერთად სძოვდენ და არას ავნებდნენ ერთმანეთს, აი ჩვენი იდეა. და თუ „ნოვოე ვრემიას" და „ზემშჩინას" სწამს რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის პრინციპი წვრილი ერების განთავისუფლების შესახებ. თავი დაანებონ ებრაელების ტყვილა-უბრალოთ ჩხვლეტას.

**რაბინი დავით ბააზოვი.**

### დრამატიული საზოგადოების შესახებ.

ერთი კულტურული დაწესებულება, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობაცა აქვს ჩვენში, არის დრამატიული საზოგადოება. კარგათ მოწყობილი თეატრი და იქ ხელოვნურათ წარმოდგენილი შინაარსიანი ნაწარმოები, საუკეთესო გზაა ხალხის ესთეტიურათ გასავითარებლათ. ნამდვილი თეატრი, როგორც ტაძარი წმინდა ხელოვნებისა, სწორეთ საიმედო სკოლაა საზოგადოებისთვის და თანაც ზნე ჩვეულების გამწმენდი და გამასპეტაკებელი. ქართული თეატრი, გარდა საერთო კულტურული მისსიისა, ასრულებს ეროვნულ დანიშნულებასაც. ეჭვს გარეშეა, რომ თეატრი ენის დასაცავი და შესანახი დაწესებულებაა.

იქ ენა ირკვევა, ვითარდება და მტკიცდება. დრამატიული საზოგადოება დიდი კულტურული და ეროვნული დანიშნულების აღმასრულებელი დაწესებულებაა, ამიტომაც მისი ხელის შეწყობა, გამაგრება და მკიდრო ნიადაგზე დაყენება წმინდა მოვალეობაა ყოველი შეგნებული მოქალაქისა. სამწუხაროთ ჩვენში ძლიერ შეფერხებულია ამ დაწესებულების მდგომარეობა.

წლიური ანგარიშის გადახედვა ბევრ რამე სამწუხაროს გვეუბნება. ამ დიდებულ საზოგადოებას თურმე სულ 34 წევრი ყოლია, მათ შორის ნამდვილი მარტო 17. ალბათ საკმაო პრაპაგანდა არ არსებობს და თვითონ რომ ქართველები ასეთ საზოგადოებაში წევრებათ ჩაეწერონ, ეს ჯერ ადრეა. გამგეობას რთული საქმის წარმოება ჰქონია; 25000 მანეთი თანხა ტრიალობს ამ საქმეში, გადასაწყვეტია დიდი საკითხები, დასის გაწვევა, წარმოდგენების მოწყობა, ნაწარმოებების არჩევა და სხვა, თანაც ერთი გამწვავებული საკითხი სულ თვალ წინ უდგია გამგეობას—ეს გახლავს ხარჯის გასასტუმრებელი და დეფიციტის დასახურავი წყაროს აღმოჩენა. რამდენათ ძნელია ნივთიერი სახსრის გამოძებნა ეს ყველამ კარგათ ვიცით.

ამდენი რთული საკითხი აქვს გადასაწყვეტი გამგეობას, რომელსაც თურმე არც კანცელარიის ბინა აქვს, არც ჯამაგირიანი საქმის მწარმოებელი ყავს და არც სამსახურიდან თავისუფალი წევრი. ჭეშმარიტად ძნელია ასე საქმის წარმოება და არ მიკვირს, რომ გამგეობა მწუხარებას განიცდის.

ახლა, როგორც ისმის, გამგეობის თითქმის მთელი შემადგენლობა გადადგომას აპირობს, ეს ადვილი წარმოსადგენი და ერთი მიტომ, რომ წევრები დატვირთული არიან სხვა საქმეებითაც და მეორე იმ პირობებში არსებობა და საქმის წარმოება, რომელშიაც დღესაა საზოგადოება, საფრთხილოცაა და პასუხ საგებიც.

პატივცემული გამგეობის გულ წრფელ განცხადებას ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ნება არა გვაქვს ძალით ვისმეს დავაკისროთ ის, რაც მას ძალზე შეაწუხებს. ამიტომაც ჩვენ უნდა ვეცადოთ არჩევნების დროს გადავაბიჯოთ ტრადიციას და გამგეობაში მომუშავე წევრები ვეძებოთ შედარებით უფრო თავისუფალ და დაუღალავ წრეში. აქტიური მუშაობა უფრო თავისუფალ პირებს დავაკისროთ, მით უმეტეს რომ ღრმათ დარწმუნებული ვარ ჩვენში მიმალული ძალები არიან და მათი სამუშაოთ გამოყვანა ჩვენი მოვალეობაა. ამასთანავე ვეცადოთ, რომ გამგეობის შემადგენლობაში იყვნენ პრაკტიკული უნარით აღჭურვილნიც და ისეთნიც, რომელთაც ესთეტიური და კულტურული საზომის ხელში დაჭერაც შეუძლიათ. საჭიროა სხვა და სხვა შემზადების და უნარის მქონე პირები იქნენ, რომ გამგეობამ ყოველ საკითხის გადაწყვეტაში სრული კომპეტენცია გამოიჩინოს. გარდა ამისა აუცილებელია გამგეობაში ორი ან სამი მანდილოსანი იქნეს, ეს ბევრნაირათ სასარგებლოა, სხვათა შორის, სამოღვაწო წრის გასაფართოვებლათ და საზოგადოების უფრო მჭიდროთ შესაკავშირებლათ. გამგეობას უნდა ჰქონდეს ბინა და ჰყავდეს ჯამაგირიანი საქმის მწარმოებელი. ნივთიერი საშუალების გამოსაძებნათ გამგეობამ სპეციალური მსჯელობა უნდა იქონიოს და არა წევრებიც წარუდგინონ თავის აზრს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის თვითმართველობის გამგეობას, რომ ქალაქის თვითმართველობას ნება ეძლევა აიღოს სესხათ ქუთაისის ხაზინიდან 12000 მანეთი ქუთაისში მყოფ ჯარების ბინის ქირის გადასახდელად.

✦ კვირას, 7 ივნისს, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდება ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთ. განყ. საზოგადო კრება. კრებაზე განსახილავია შემდეგი საკითხები: 1. სამი უკანასკნელი წლის ანგარიშის განხილვა, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3 გამგეობის მოხსენება სხვადასხვა საგანზე და 5. გამგეობის წევრთა არჩევანი.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილება სიცხეების გამო საქმეების გარჩევას შეამცირებს. საქმეები გაირჩევა 9, 16, 23 და 30 ივნისს.

✦ კვირას, 7 ივნისს, ქალაქის ბაღში ქალთა წრე გამართავს სეირნობას. წმინდა შემოსავალი გადაიდება ჯარისკაცთა ფეხსაცმელის დასამზადებლათ.

✦ მოდერნისტელთა დასი, კვირას 7 ივნისს, გამართავს უკანასკნელ ორ წარმოდგენას დიდას და სადამოს, შემდეგ ბათუმს გაემგზავრება.

✦ ამას წინათ გორის საზოგადოებში ბაღდათიდან გაემგზავრა მომრიგებელი შუამავალი დამშეულთა რაოდენობის გამოსარკვევათ. როგორც გადმოგვცეს ხალხი დიდ შიმშილობას განიცდის. ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ დახმარება აღმოუჩინონ 750 დამშეულ ოჯახს.

✦ ხუთშაბათს, 4 ივნისს, კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართა საღამო შემოსავალის ნაწილი ომში დაზარალებულ ჯარის კაცთა სასარგებლოთ გადაიდვა.

✦ ქუთაისის ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგრას მოსახდელათ გუშინ 5 ივნისს დაიწყო და გაგრძელდება 11 ივნისამდი.

✦ გურიაში დიდი შიმშილობაა, საყიდ სიმინდსაც ვერ შოულობენ. ფუთი სიმინდი 2 მანეთად ფასობს.

✦ ქუთაიში ყოველი სანოვაგე მეტად გაძვირდა. ქალაქის მცხოვრებნი დიდ გასაჭირს განიცდიან.

— გუშინ, 5 ივნისს, ქალ. სანიტარმა ი. ჩახაიძემ სანიტარულ ექიმის წერეთლის თანდასწრებით გაგზავნა მეღვინეებისგან ღვინოები ლაბორატორიაში შესამოწმებლათ.

— ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩიბაძემ ოქმები შეუდგინა გამოუცხობელი პურებისთვის მეფურნეებს ხარლამ ტიპიდიდს, სერაპიონ დვალს და გიორგი მადიკიანს.

✦ ვ. ქებაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ დღეებში იგი მოელის შაბიამანს. მსურველს შეუძლია ახლავე დაიკვეთოს.

✦ ვ. ნ. გელოვანის ხსოვნას. წითელი ჯვრის მთავარმა გამგეობამ დაადგინა, რომ ჩაირიცხოს განსვენებული ვ. ლ. გელოვანი იმ პირთა სიაში, რომელთა მოღვაწეობა „წითელი ჯვრის“ თვალსაზრისით დაჯილდოვებული უნდა იყოს საგანგებო ნიშნით.

## თბილისი.

ქართველ ქალთა საზოგადოების თაოსნობით გოლოვინის პროსპექტზე გუშინ გაიხსნა საჩაიე, ომისაგან დაზარალებულ ქართველ ოჯახების სასარგებლოდ. გახსნის ამბავი საზოგადოებას მხოლოდ გაზეთების საშუალებით ეუწყა, მაგრამ ხალხი დანიშნულ საათზე ადრე მოვიდა. ლამაზად, სუფთათ მოწყობილი საჩაიე ერთბაშათ ახმაურდა და გამოცოცხლდა. ახალგაზდა ქართველი ქალები დაცქრიალობდნენ და სტუმრებს სხვა და სხვა საჭმელსა და სასმელს სთავაზობდნენ. საჩაიეში ერთბაშად, პირველი საათიდანვე დამყარდა, შინაურული მყუდროება. ქართველებს გარდა, საჩაიეს ეწვივნენ რუსები, მაჰმადიანები და სხვანი. ბევრი აშკარად მხოლოდ იმიტომ შემოდიოდა, რომ თავისი წვლილი შეეწირა ამ სიმპატიური დაწესებულებისათვის. იმედია საზოგადოება შემდეგშიაც ასეთივე თანაგრძნობით მოეკიდება საჩაიეს.

# შიმშილი.

როცა ჩვენებურ შიმშილზე ლაპარაკობენ, მაგონდება კიტა აბაშიძის სიტყვა, წარმოთქმული ამ მოკლე ხანში ერთ კრებაზე.

„—ჩვენ ისე მდიდრები ვიყავით, რომ თვალმარგალიტს ჩანაბებით რწყავდნენ —!“

— როდის, როდის, სულზედ უტკბესო?

— მეთორმეტე საუკუნეში!..

ყველა სულდგმულს თითო რამ აქვს მოსაგონებელი.

ნესტანს აგონდებოდა ტარიელი—

ლუარსაბ თათქარიძეს-რომ დადიანის „პოვერნია“ გამოათრო და—

ქართველს-მეთორმეტე საუკუნე!

ქართველს რომ ჩექმა დაეხევა-მოაგონდება, რომ გელათის მონასტერში ერთი ქოში,—მეორე უკვე მოიპარეს—თვალ მარგალიტით შემკული...

მეთორმეტე საუკუნეში მთელი საქართველო თვალ-მარგალიტიან ქოშებში დადიოდა.

და ჩექმას აღარ იკარებს.

ამ ქამად ბევრს ლაპარაკობენ-რასთქვა იმავ კიტა აბაშიძემ მეორე კრებაზე:

„—სირცხვილია შიმშილზე ლაპარაკი!—“

განა ეს მართალი არ არის?!

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება რომელზედაც ვითომდა ითქვა ეს სიტყვები, ინტერნაციალური კრება იყო.

ამ კრებაზედ ქართულ შიმშილზედ ლაპარაკი—ხელის გაშვერას მოასწავებდა.

ჩვენ სიამოვნებით მივილებთ იმ რუსებისგან, სომხებისგან, თათრებისგან და ყველა მათგან ვინც იყო იმ კრებაზედ-დახმარებას. მაგრამ ჩვენ მათ არ უნდა დავეღრიჯოთ.

ამაყი შიმშილობის დროსაც უნდა იყო. და ამას იმდენათ სიამაყე არ მოითხოვს, რამდენათ ზრდილობა, უბრალო ინტერნაციონალური ზრდილობა.

ამიტომ ჩვენმა წარმომადგენელებმა არ სცნეს შესაფერისათ იქ ამაზედ ლაპარაკი.

ალბათ ისინი ფიქრობდენ, რომ ქართულ შიმშილზედ ზრუნვა ჩვენივე-ქართველების მოვალეობაა.

მაგრამ გაზეთებმა ამაზედ მთელი ორომტრიალი გამართეს, თვით შიმშილობა სადღაც მიჩქმალეს და ჩვენ საყვედურს გვითვლიან:

— რატომ ნაციონალისტები თავის აზრს არ გამოსთქვამენ, მართალია, თუ არა კიტა აბაშიძეო?

გინდათ, რომ ამაზედაც ვსწეროთ?

თქვენ გინდათ რომ იმ დროს, როცა მთელი მაზრები დამშეულია, ჩვენ ამაზედ ვილაპარაკოთ?

ჩვენი ყურადღება შევაბრუნოთ?

როცა ძველ რომში შიმშილობა ჩამოვარდებოდა ხოლმე არამზადები ყვიროდენ:

— Panem et ciriensam!

— პური და გასართობიო!

პურს არ აძლევდნენ, მაგრამ გართობას ბლომათ მართავდნენ. კოლოზეუმში სანახაობა იმართებოდა, კეისრის წალკოტებში ხალხს უშვებდნენ, გლადიატორები ჰიდაობდნენ, პატრიციები დასეირნობდნენ და—

რომის დამშეულს ხალხს მუცლის ბურტყუნი უამდებოდა.

რითი?

დამშეულ რომაელებს ამ გასართობებით პირში ვეებერთელა ბურთს სჩრიდნენ და ესეც საკმაო იყო მათთვის.

რა არის პური? ცოტას დაღეჭავ და გადაყლაპავ, მერე ისევ მოგშივა. ბურთს კი ვერ გადაყლაპავ, ის საუკუნო სალეჭია ყველა დამშეულთათვის.

თქვენ გინდათ ჩვენთან კამათით დამშეულ ხალხს გასართობი შეუქმნათ, პირში ბურთი ჩაუდოთ და რეზინა აღეჭინოთ...

იყოს აგრე.

მე მონაწილე ვარ თქვენის კამათისა. ავდივარ ყველაზე მაღალ ტრიბუნაზედ, რომელიც კი არსებობს საქართველოში და ვამბობ:

— ბატონო კიტა აბაშიძევ, თქვენ მართალი არა ხართ!

რა?

გაძლა ქართველი ხალხი?!

**ფარსმან-ფარუხი.**

---

## დამშეულთა დახმარების შესახებ. *)

ვინ არ იცის, რომ ამ დროებით უკიდურესს გაჭირვებას განიცდის სიმშილობის გამო მთელი ქუთაისის გუბერნია და განსაკუთრებით სამი მაზრა — სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის, სადაც სიმინდი უმთავრესი წყაროა სოფლის ხალხის ათასგვარ მოთხოვნილება—ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლათ. ხსენებულ მაზრებში, სადაც წინეთ გარდა შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა რამდენიმე მილიონი სიმინდი მოყავდათ, ხალხს კარგი ხანია სიმინდი აღარ გააჩნია. არამც თუ გასაყიდათ, არამედ თავის გამოსაკვებთ. დღემდისაც აუწერელი გაჭირვება იყო და ეხლა ხომ ძნელია იმისი სავსებით წარმოდგენა, თუ რა უბედურება უნდა დაატყდეს ხალხს. ბევრს პირდაპირ სიმშილით სიკვდილი მოელის, რადგან ყველას დახმარება ან ვერ მოუსწრებს დროზე და ან სულ ვერ ეღირსება. ერთი სიტყვით, ასეთი გაჭირვებული ჩვენი ხალხი, შეიძლება ითქვას, არც კი ყოფილა და გასაკვირია, რატომ მეტ ყურადღებას არ აქცევენ, ვისაც ეს მოთხოვება—არაფერს აკეთებენ არც საზოგადო დაწესებულებები, არც კერძო პირები და არც ჩვენი ეგრეთ წოდებული საზოგადო მოღვაწენი. სიმშილით სიკვდილი ხალხს მოელის და არავინ ყურს არ იბერტყს. ეტყობა, ჩვენში ხალხის სიყვარული და ეროვნული ინტერესების სამსახური ცარიელი სიტყვა ყოფილა. თუ ეს ასე არაა, რომელი დროისთვის ინახება საზოგადო ძალთა ენერგია და რას უნდა დაერქვას საზოგადო მოღვაწეობა, თუ ასეთ დროს არავინ არაფერს გააკეთებს გაჭირვებული და დამშეული ხალხისთვის.

სენაკის მაზრაში სოფლის ხალხი, როგორც იწერებიან, უკანასკნელი სახლის მოწყობილობას—ავეჯეულობას ყიდის. ფეხზე მოვაჭრე ებრაელებმა სახლებიდან სულ იაფათ თავს ქვეშ დასადები ბალიშები გამოზიდეს. არც სხვაგანაა ბევრათ უკეთესი მდგომარეობა. ასეთ პირობებში ნუ თუ საკმარისია მარტო მთავრობის მიერ მიღებული ზომები და მოიჯარადრეზე გაცემული ხელშეკრულობა ასი და ორასი ათასი ფუთი სიმინდის კავკასიის რაიონიდან შემოტანის შესახებ?

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კერძო თაოსნობა—თვითმოქმედება, უკვე არსებული კოოპერატივების დაკავშირება ხელშეკრულობით, რომ საერთო გზით და სოლიდალური მუშაობით ხალხს მიაწოდოთ არა მარტო სიმინდი, არამედ სხვა საგნებიც პირველი მოთხოვნილებისა. თუ როგორ გამოინახება ამისთვის ფული წვრილი კრედიტის დაწესებულებათა შემწეობით და რანაირათ უნდა მოეწყოს ეს საქმე პრაქტიკულათ—ამისი გეგმის შედგენა სულ ადვილია და არავითარ სახიფათო ოპერაციას არ წარმოადგენს. თუ კი სურვილი იქნება რომელიმე უკვე არსებული საზოგადოების ან დაწესებულების მხრით—ეს საქმე სულ მცირე ხარჯების გაწევით შეიძლებოდა გამოწყობილიყო. თავისით, თუ არავინ არ თაოსნობს და რამდენიმეთ ხარჯებს არ გასწევს, ისე რამდენი კომისიაც ან ბიურო არ აირჩეს, საქმეს არაფერი არ ეშველება. დღეს კი არამც თუ არავინ არაფერ ხარჯებს არ სწევს ამის გამოსაწყობათ, არამედ არ არის არავინ არც კერძო პირი და არც დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს სოფლის წარმომადგენელებს მოელაპარაკოს და რჩევა მიიღოს.

ჩვენში, რომ არსებობდეს კავშირი კოოპერატივებისა, მაშინ მას შეეძლო საერთო ხელმძღვანელობა გაეწია და საშუალებასაც გამონახავდა საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ. რაც შეეხება კერძოთ თვითეულ კოოპერატივს, ის კი ვერ გაწევს ამ თავში წესდების ძალით ისეთ ხარჯებს, რომელთა მიზანია საქმის გამოწყობა მთელი მაზრისათვის. თვითეულ ამხანაგობას, სანამ ის მეორეს არ შეკავშირებია, განსაკუთრებით წვრილი კრედიტის ბანკი, შეუძლია ისეთ რამეზე დახარჯოს, რაც მარტო მას ეხება და მის საჭიროებას წარმოადგენს. კოოპერატივების ხელშეკრულობით დაკავშირება და ამ მიზნისთვის სოფლებში საჩქაროთ კრებების მოხდენა (ხელშეკრულობისთვის და ზოგი სერიოზულ კითხვებისთვის გადასაწყვეტათ საზოგადო კრების დადგენილებაა საჭირო), ახალი კრედიტების გამონახვა და საშუამავლო ოპერაციების შემოღება—ყველა ეს თავშივე თხოულობს წინასწარ და განსაკუთრებულ ხარჯებს გარდა თაოსნობისა, რომელიც შეეძლო სულ ადვილათ მიეღო თავის თავზე დამშეულთა დამხმარე სამაზრო კომისიას, თუ კი საჭიროთ დავინახავთ მის შედგენას.

თვითეული ასეთი ჩამოსვლა სოფლის წარმომადგენლებს შორეული სოფლებიდან ძლიერ ძვირათ უჯდებათ და ვერც გააკეთებენ საქმეს ერთი ან ორი დღის ჩამოსვლით. აქაც შეგვეძლო დიდი დახმარება გაგვეწია და სარგებლობა მოგვეტანა, მაგრამ საჭიროა სურვილი და შეთანხმებული მუშაობა ამ ნიადაგზე. მე ხელში მაქვს ათი-თორმეტი ამხანაგობიდან გამოგზავნილი თხოვნები და რწმუნებულობა, მაგრამ შემიძლია ყველას დახმარება გაუწიო, როცა ეცი არავინ არ იწუხებს თავს და ასეთ დახმარების მნიშვნელობას არავინ აძლევს. სამტრედიის რაიონშიც დიდი მუშაობაა ამ ნიადაგზე, რომ კოოპერატივები შეკავშირდენ, იყო კრება, აირჩიეს კომისია, მაგრამ თუ საშუალება არ გამოინახა საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ, ისე არაფერი გაკეთდება.

ადგილობრივი განყოფილება საქველმოქმედო საზოგადოებისა უმთავრესს მნიშვნელობას აძლევს არა ასეთ დახმარებას, არამედ იმას, რომ რამდენიმე ვაგონი სიმინდი იყიდოს და სამოწყალოთ ხალხს დაურიგდეს. ჩვენის აზრით ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, როცა ასი ათასობით ხალხი დამშეულია. ვისაც ყიდვა არ შეუძლია სესხი უნდა მიეცეს და ვისაც შეუძლია იყიდოს, იმას შეღავათიან ფასებში სიმინდი უნდა მივაწოდოთ. საქველმოქმედო დახმარება ამას დაერქმევა*).

**გრ. გიგინეიშვილი.**

(დასასრული ხვალ).

*) ვბეჭდავთ ბ-ნ გიგინეიშვილის წერილს, როგორც ნიმუშს ჩვენებურ ფანტასტიურ მსჯელობისას, ვინაიდან ვიდრე კოოპერატივების კავშირი დაარსდებოდეს, „პავლეს ტყავი გაძვრება“. „არავინ არაფერს აკეთებს, იმ დროს, როცა ხალხი დამშეულია“-ო. ამის თქმაც გადაჭარბებულია, ვინაიდან არის რამდენიმე საზოგადოება, რომლებიც შეძლებისადაგვარად ეხმარებიან დამშეულებს. მეტის მოთხოვნა მათგან შეუძლებელიც არის და უმადურობაც. ხოლო თუ საზოგადოთ ეს დახმარება სუსტი და უჩინარია, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ უფრო ღრმად იმ საზოგადოებრივ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ: არა გვაქვს ერობა. არა გვაქვს სურვილიც საერთოდ მოქმედებისა. ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვუკიჟინებთ უსაქმურობას და ერთმანეთს კი პირიქით გავურბით...

სად არიან ის ყმაწვილები, რომლებიც თითონ არას აკეთებენ, არაფრის გაკეთებასაც არა ფიქრობენ და ცოტას ვინც აკეთებს მაინც, იმათ ყვედრებაში კი არიან?..

არა, ბატონებო, თქმა და საყვედური ადვილია, საქმე კი ძნელი...

რატომ თვით ბ. გიგინეიშვილი არ თაოსნობს ცალკე კომიტეტის შედგენას? აქ რაღაც გაუგებრობაა!

**რედ.**

---

# ვაჭრები და სოფლის ხალხი.

ომის გამოცხადებამდის თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა სოფლებში იყო თითო-თითო საწვრილმანო დუქანი. მედუქნები, ერთი ერთმანეთის ჯიბრზე ასე თუ ისე ხალხისათვის ხელსაყრელ ფასებში ყიდდენ უსაჭიროეს საგნებს მაინც და ამით ხალხს დიდი შეღავათი ჰქონდა, ომის გამოცხადების შემდეგ კი სოფლის საწვრილმანო დუქნების უმეტესი ნაწილი დაიხურა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დაბების და ქალაქების სხვილმა მოვაჭრეებმა სოფლის წვრილ მოვაჭრეებს ნისიათ საქონელი აღარ ანდვეს.

ამ გარემოებამ სოფლის ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. დარჩენილმა სოფლის მოვაჭრეებმა, როდესაც დაინახეს რომ მეტოქეები თავიდგან მოშორდათ, სოფლისათვის ყოველი უსაჭიროესი საგნის ფასი ერთი ათად ასწიეს. მაგალითად, პირველ ხანებში თუ ფუთ შაბიამანს ოც მანეთში ყიდდენ, დღეს ორმოც მანეთშიაც აღარ ყიდიან. ერთ კოლოფ ლაფშინის წუმწუმას შაურათ ასაღებენ. ერთი არშინი ჩითი, ახლო წარსულში, რომ თორმეტ კაპეიკათ იყიდებოდა, დღეს ხუთ შაურათ იყიდება.

ერთის სიტყვით, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ სოფლის გაჭირვებული ხალხი მცირეოდენი საყიდლისათვის შორს ვერსად წავა და ახლო-მახლო კი სხვა სავაჭრო დუქანი აღარ არის, როგორც მოეპრიანებათ ისე ყიდიან საქონელს. ამ ვაჟბატონებმა არც სირცხვილი იციან და არც ნამუსი.

ამნაირი მადა გახსნილი მოვაჭრეების ალაგმვა, დღევანდელ პირობებში, მეტათ რთული და ძნელი საქმეა. ერთად ერთი ხსნა კოოპერატიულ დუქნებში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ამნაირ დუქნებს ჯერჯერობით ქალაქებშიაც ვერ ვხედავთ, თორემ სოფლებში სად მოგვეძებნება?

ფრიად საჭიროა, რომ ჩვენი სოფლების წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობებმა მეტი უნარი და ფხა გამოიჩინონ, ყოველ წლობით თავის ჯამაგირის მომატებაზე უარი სთქვან, და საწყალი სოფლის ხალხი მადა გახსნილი მოვაჭრეების კლანჭებიდგან გამოიხსნან.

**მ. ფარცხნალელი.**

---

# ოკრიბის ამ-ბარბი.

— ამ ორი წლის წინათ აქ შუამდგომლობა აღძრეს, რომ დაეარსებინათ [illegible] სიანი სამეურნეო სასწავლებელი. [illegible]ნის მაცადინობის შემდეგ, მთავრობამ სკოლის გახსნის შესახებ თანხმობა გამოაცხადა. სკოლისათვის შენობა სოფ. მანდიკორში უკვე აგეს, სადაც სოფლის სამართველოა. ეს ადგილი წარმოადგენს ოკრიბის შუა ადგილს. შენობა აგებულია ვრცელ ვაკე ადგილზე პატარა მდინარის პირათ, სადაც შეიძლება გაშენდეს მშვენიერი ფერმა, სწავლა ამ სკოლაში მომავალი სექტემბრის პირველი რიცხვიდან დაიწყება. ასეთი ტიპის სასწავლებლები ოკრიბაში კი არა, იმერეთის სხვა სოფლებშიაც ძვირია. კულტურულათ ჩამორჩენილ კუთხეს ეს სასწავლებელი კარგ მომავალს უქადის, ამ სკოლის ახლოს არიან შემდეგი სოფლები: მანდიკორი, ჯვარისა, ხორჩანა, ნაძვა, ბომოთი, ციხია, შუქერი, ლაფეთი, ლაშია, ოჯოლა და სხვა სოფლები. ადგილობრივ გლეხებს ამ სასწავლებლის დაარსება მეტად უხარიათ.

— ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინობის კომიტეტს აქ ვენახების დასათვალიერებლათ და გლეხებისათვის ვაზების მოწამვლის საჩვენებლათ გამოგზავნილი ყავს აგრონომის თანაშემწე თავ. ამბროსი დადიანი. ეს ენერგიით სავსე მუშაკი ერთი სოფლიდან-მეორეში დაიარება და ყველა სოფელში ერთ-ორ ოჯახში საჩვენებლათ კომიტეტის ხარჯით ვაზებს წამლობს. მაგრამ, საუბედუროთ, ზოგ სოფელში (ს. გურნა) აღმოჩნდა ისეთი გლეხებიც, რომ ბ. დადიანს ვენახის მოწამვლის ნება არ მისცეს. იგი შემდეგი სიტყვებით გიმოისტუმრეს:—

„—თქვენ ჩვენ ვაზებს დაითვლით და შემდეგ გადასახადს (ბაჟს) დაგვადებთო“, ეგეც არ აყოს, თქვენი წამალი ხეირიანათ შეზავებული არ იქნება და ვენახს წაგვიხდენთო“. აი ასე ლებულობენ ჩვენი გლეხები სწავლულსა და გამოცდილ მეურნეს. როდესაც შაბიამანის ასეთი სიძვირეა და მთელ სოფელში ერთი ოჯახიც არ მოიძებნება, რომ ვაზები მოწამლული ჰქონდეს, აი ასეთ დროს ისინი ვაზების მოწამვლაზე უარს აცხადებენ. 20-25 მანეთის საჩუქარზე უარს ამბობენ. მე თვითონ ვინახულე აგრონომის თანაშემწე ბ-ნი დადიანი და ყოველივე მანვე მიამბო.

აღსანიშნავია აგრეთვე სოფლის სასამართლოების ჩაფრების (კურიერი) საქციელი. ისინი დაქირავებული არიან მთავრობისაგან, რაშიაც შესაფერი ქირა ეძლევათ. ჩაფრები მოვალენი არიან, რომ მთავრობის უწყების მოსამსახურეებს, სადაც უნდა წავიდენ, ცხენი მისცენ, რაშიაც ვერსზე ეძლევათ სამი კაპ. მეტი ვერ უნდა აიღონ. ბატონი „ჩაფრები“ აგრონომის თანაშემწეს თავ. დადიანს კი ორ ფასს ახდევინებენ. ხუთი ვერსის ნაცვლათ ათი ვერსის ქირას ახდევინებენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ტყიბულის ბოქაულმა ბ-მა ბიბიკოვმა და სოფლის მამასახლისებმა, თორემ ჩვენს ბედშავ კუთხეს სულ არავინ მოეკარება.

— აქ ამჟამათ დიდი შიმშილობაა, არის ისეთი ოჯახები, რომ მთელი დღე, დილიდან საღამომდი მშიერი რჩებიან. პაწია ბავშები ტირილით მიდამოებს აყრუებენ. არ არის ისეთი მოხუცი, რომ ასეთი შიმშილობა ახსოვდეს. ამას წინათ ოკრიბის სოფლები დაათვალიერა ქუთაისის მაზრის უფროსმა ბ. იუსუპოვმა და გლეხებს დახმარებას შეპირდა, მაგრამ ჯერ იმედი არსაიდან არის. ადგილობრივ სიმინდი კოდი (ფუთ ნახევარი) 12 აბაზ. ფასობს.

ამ დღეებში სადგურ ხრესილში ერთმა ვაჭარმა მთავრობის დახმარებით ჩრდილოეთ კავკასიიდან მოიტანა რამდენიმე ვაგონი სიმინდი, რომელსაც ფუთი 1 მან. და 3 შაურათ ჰყიდის. ეს გლეხებისათვის დიდი შეღავათია, მაგრამ ხელმოკლე გლეხს სიმინდის საყიდი ფული არ გააჩნია. თუ მთავრობამ დახმარება არ აღმოუჩინა, აქაურ, გლეხები შიმშილით დაიხოცებიან.

— მიდვრის მოსავალს ჯერ-ჯერობით აქ კარგი პირი უჩანს. სამწუხაროთ იმ ოჯახებს, საიდანაც გაწვეული არიან ჯარის კაცები, ყანები დაუმუშავებელი აქვთ, ამ რიგათ ბავშებსა და ქალებს მომავალ წელიწადშიაც აუტანელი შიმშილობა მოელისთ. მათ ვენახები დაუმუშავებელი აქვთ, ყანები დაუთესავი, ეზოები გაპარტახებული და სხვა.

ხილი-ოკრიბის გლეხებისათვის ერთათ ერთი ნუგეში-აპრილის სიცივეებმა მოწვა. აბრეშუმის ჭია ძლიერ ცოტას ყავს დაჯენილი, რადგანაც შიში ჰქონდათ, რომ ამ ომიანობის გამო არ გაიყიდება.

— აქაურმა გლეხებმა ამ დღეებში ერთი სამწუხარო ამბავი გაიგეს:—

შარშან 1914 წ. მთავრობამ, წინა წლის მოუსავლობის გამო გლეხებს სიმინდი დაურიგა სესხათ. გლეხებს ეგონათ, რომ ამ სესხს ნაწილ-ნაწილათ გადაახდევინებდენ გრძელი ვადით, მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ, ამ დღეებში მთავრობისაგან მოწერილობა მიიღეს, რომ ეს სესხი დაუყონებლივ უნდა გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

საწყალი გლეხები დღიური ლუკმისათვის წელზე ფეხს იდგამენ და მაინც ცოლ-შვილი შიმშილით უკვდებათ. კარგი იქნება მთავრობა თავის დადგენილებას შეცვლიდეს და გლეხებს თავის აუტანელ ტანჯვას შეუმსუბუქებდეს, თორემ ისინი ლამის შიმშილით გაწყდენ.

ნიკ—რძ.

## წერილი ს. კორბოულიდან.

(ზემო იმერეთი.)

მინდა რომ დამატებითი ცნობა მივაწოდო ქართველ საზოგადოებას სოფ. კორბოულში ამ ჟამად მძვინვარ სახადზე, რომელმაც ჯერ-ჯერობით სამი სული იმსხვერპლა, და ავათ კიდევ არის 11 სულამდი რვა ოჯახში. წინა წერილში მოხსენებული მიზეზი, ესე იგი, ომში დაჭრილ ჯარისკაცს, მამუკა მაჭარაშვილს მოყვა სახადიო, სიმართლე არ გამოდგა. აი ნამდვილი გარემოება: გადაცვალებული ჯარისკაცი მამუკა მაჭარაშვილი თებერვლის თვეში დაბრუნდა ბრძოლის ველიდან დაჭრილი. აქ ცოტა მოიხედა და თითქმის რჩებოდა. მისი მეორე ძმა ვანო სათადარიგო ჯარისკაცათ იყო გაწვეული ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედ ჯარში, კავკასიის საზღვარზე, რომელიც მარტის შუა რიცხვებში დროებით დაბრუნდა შინ. აი, ამ ვანომ თან მოიტანა ომში ნადავლი, თუ ნაყიდი ჯარისკაცის სხვადასხვა ტანისამოსი და დაურიგა შინაურებს. ერთი ჯარისკაცის მაზარა ამ თავის ავადმყოფ, მაგრამ მორჩენის პირზე მდგარ ძმას მამუკას, უთავაზა, თვითონ კი, ვადის გასვლის შემდეგ, დაბრუნდა ისევ მოქმედ ჯარში. აი, სწორედ, ეს მისგან მოტანილი ტანისამოსი შეიქნა მიზეზი ტიფის გავრცელებისა, როგორც მის ოჯახში, (მამუკა მოკვდა, ავათ კი არიან ვანოს ცოლი, დედა და ძმა) ისე მის მახლობელ მეზობლის ოჯახში.

ამ ამბავმა თავზარი დასცა თითქმის მთლად სოფ. კორბოულის მცხოვრებს (800—900 კომლამდე). ექვსი—შვიდი ოჯახი სწრაფლ გაიხიზნა ტყეში და ამ წვიმასა და სიცივეში გადუხურავ კარვებ—ფაცხებში იყუჟებიან. ამის შესახებ საჩქაროთ ეცნობა საჩხერის ბოქაულს და ექიმს. მაისის 22-ს მოვიდა კორბოულში საჩხერის უფასო საავათმყოფოს ფერშალი ბაგრატ გრიგოლის ძე ყიფიანი, რომელმაც მოიარა ყველა ავათმყოფის ოჯახი; გასინჯა ავათმყოფები, მისცა დარიგება, თუ როგორ უნდა მოევლოთ თავისთვის და მეორე დღესვე დაბრუნდა საჩხერეს. ხალხს მისცა წინადადება დაექირავებიათ თავისი ხარჯით ადგილობრივი ფერშალი, კუჭავა და მიეჩინათ ავათმყოფების მოსავლელათ; აგრეთვე ხალხს უნდა მიეწოდებია ავათმყოფებისათვის რძე, კვერცხი, ბულიონი, ადუღებული წყალი და საჭირო წამლებიც მათ უნდა ეყიდნათ, (ცოტა რამ წამლები გამოგზავნა ბატ. ყიფიანმა უფასოდ საავათმყოფოს აფთიაქიდან).

მეორე დღეს მღვდელმა ვლადიმერ მაჭარაშვილმა შეჰკრიბა თავისი მრევლი ადგილობრივ სკოლაში, რომელთაც მიმართა შესაფერი სიტყვებით და მოუწოდა შეერთებული ძალითა და საშვალების გამოღებით ეხსნათ თავისი ავათმყოფი ძმები სიკვდილისაგან. ყველა დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ საკითხს, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელი 2—3 წლის მოუსავლობით და მსოფლიო ომის მიერ გამოწვეული მიზეზით, ისე არიან ქონებრივათ დაქვეითებული, რომ მათგან რაიმე ფულით შემწეობის გამოღება ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა. მხოლოდ რაც კი ოჯახში უსასყიდლოთ მოგვეპოვება, იმაში არაფერს არ ავილებთ და უსასყიდლოთ მივაწოდებთ ავათმყოფებსაო. ამით დასრულდა ჯერ-ჯერობით საქმე. მღვდ. ვლ. მაჭარაშვილმა ადგილობრივი ბოქაულისაგან მიიღო პასუხი თავის მოხსენებაზე, რომ მალე ყვირილიდან ამოვა ექიმი გოცაძეო, მაგრამ ჯერაც არ მოსულა. ყოველ შემთხვევაში აუცილებელია მთავრობის მხრით ფულათ შეწევნა და სანიტარული რაზმის გამოგზავნა, რათა ამ სათავეშივე მოისპოს ეს ავადმყოფობა.

მოქმედ ჯარში ქართველი ჯარისკაცების და მათ ოჯახების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ყოველი ღონის ძიებით ერიდონ ბრძოლის ველიდან რაიმე ტანისამოსის წამოღებას სახლში და, თუ ვინიცობაა მოიტანოს ვინმემ, შინაურებმა სწრაფლ ცეცხლში დასწვან, თუ უნდათ რომ ეს საშინელი სენი თავიდან აიცდინონ.

აქაური.

## ახალი დებულება.

### სამაზრო მეთვალყურეების ჯამაგირების შესახებ და ჩვენი აწინდელი მეთვალყურეები.

ახალი დებულებით საეკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურეები თითქმის გასწორებული არიან ჯამაგირებით საერო სკოლების ინსპექტორებთან. ამ დებულებით მაზრის მეთვალყურეს, რომელსაც მაზრაში არა ნაკლებ 80 სკოლისა აქვს, ენიშნება 2400 მანეთი, და დამსახურების შემდეგ 1100 მანეთი, თუ საშუალო განათლების პატრონია, ხოლო თუ უმაღლესის 1800 მ. ამასთან მეთვალყურე უნდა იყოს თავისუფალი მღვდელი.

დღემდის მეთვალყურე სამრევლო მღვდელი იყო და ჯამაგირი ძალიან მცირე ჰქონდა. მაგ. ქუთაისის მაზრის მეთვალყურე 270 მანეთს ღებულობდა, შორაპნის 250 მან., ხოლო რაჭის და ლეჩხუმის 180 მანეთს თანასწორათ, ოთხივე 700 მანეთს. თქმა არ უნდა, ასეთი მცირე სასყიდელი სასურველ კანდიდატებს ვერ მიიზიდავდა ამ ფრიად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ საქმეზე. თუ ვინმე შეგნებული და მცოდნე ადამიანი ხელს მოკიდებდა ამ საქმეს, უთუვოდ მხოლოთ საქმისვე სიყვარულის და სიხარულის გამო, მაგრამ მალე ისევ თავს დაანებებდა, როცა სოფელში თრიალის და დადალვა-დაქანცულობის მეტს თვის ბოლოს ვერაფერს დაინახავდა. თავიდგანვე რომ ასე ყოფილიყო დაყენებული საქმე როგორც დღეს არის მოსალოდნელი, საეკლესიო სკოლები დიდათ დაწინაურებული იქნებოდენ სწავლება ცოდნის მხრით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა აქამდის, ხოლო დღეს კი ცოტათ, თუ ბევრათ გაუმჯობესდა მეთვალყურეების მდგომარეობა, თუმცა ზემო მოყვანილი ჯამაგირის ნორმამდის ჯერ კიდევ შორსა ვართ.

საქმე იმაშია, რომ ნაცვლად 2400 მანეთისა, იმერეთის ეპარქიის სამაზრო მეთვალყურეებზე გამოსცეს მხოლოდ 2000 მანეთი დამატებითი კრედიტი, ე. ი. 2700 მანეთი ძველი კრედიტიანა, რომელიც უნდა გაუნაწილდეს ოთხ მეთვალყურეს იმის მიხედვით, თუ ვის რამოდენი სკოლა აქვს თავის მაზრაში. ამის მიხედვით ქუთაისის მაზრის მეთვალყურეს ყველაზე მეტი ერგება, ხოლო ყველაზე ნაკლები რაჭისას, რომელსაც მხოლოდ 28 სკოლა აქვს. იმერეთის სამოსწავლო საბჭომ თავის მიხედულობით ასეთი პროექტი შეიტანა, ამ ფულის დანაწილებისა: ქუთაისის მაზრის მეთვალყურეს 1100 მ., შორაპნისას—1000 მ., რაჭა-ლეჩხუმისას სამას-სამასი.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ამ ჯამაგირთან მეთვალყურეები სინოდის გადაწყვეტილებით მრევლშიაც რჩებიან და მაშასადამე სარგებლობენ სამღვდელო ჯამაგირით, დრამაფულით და შემოსავლით, მაშინ, ორ მეთვალყურეს მაინც, ქუთაისისას და შორაპნისას, საგრძნობლად დიდი ჯამაგირი გაუხდებათ,—არა ნაკლებ 1700 მანეთისა თითოეულს. ასეთ ჯამაგირთან საძრახისი არ არის, რომ კაცმა მყოფ მეთვალყურეთა პედაგოგიური ნიჭი და უნარი გასინჯოს და ღირსეულად დააფასოს. აქამდე თუ ასე არ მოვიქეცით, ეს იმიტომ, რომ მცირე ჯამაგირზე კარგი კანდიდატი არ წავიდოდა მეთვალყურეთ.

ახალი დებულების გამოცემის შემდეგ მიუცილებელი საჭიროა, საბჭომ იზრუნოს და საუკეთესო მეთვალყურეები მოსძებნოს. იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან ისეთი კანდიდატები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას მასწავლებლებისა და მოსწავლეების წინაშე. ასეთი კანდიდატების გამოსვლას ჯამაგირების რაოდენობაც ხელს შეუწყობს და იმის იმედიც, რომ დღეს თუ არა, ახლო მომავალში მაინც, მოგვხედავენ მოწყალების თვალით და სრულ ჯამაგირს დაგვინიშნავენ.

ყოფილი მასწავლებელი.

### ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ!

ყველამ კარგათ უწყის—რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავლის გასაშენათ წიგნსაცავ-სამკითხველოებს. თუ კი ის გვწამს, რომ სამკითხველოების გავლენა ხალხზე დამდუშველი და დამაქვეითებელია, მაშინ ჩვენი წმინდა მოვალეობაა დახმარების ხელი გავუწოდოთ ახლად დაარსებულ წიგნსაცავებს, მით უმეტეს, რომ ეს დიდ მსხვერპლს არავისგან არ მოითხოვს. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრ ინტელიგენტ ოჯახს საკუთარ, საოჯახო წიგნსაცავში მოეპოვება, ასე ვსთქვათ, ზედმეტი წიგნი, რომელიც მეტ ბარგათ გადაქცეულა და, წაკითხვის შემდეგ, მათთვის პირდაპირი მნიშვნელობა დაუკარგავს. ასეთი წიგნები—დაუფასებელ სარგებლობას მოუტანდენ საზოგადო წიგნსაცავებს და არა ერთს და ორს ახალგაზრდას გაუნათებდენ გზას და ჩაუნერგავდენ კეთილშობილურ აზრებს და გრძნობებს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც ბალახვნის ქუჩაზე გაიხსნა უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, დიდ სამსახურს უწევს მთელი ქალაქის შუა-გულ უბანს და ასობით მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას—სულიერ საზრდოს აძლევს და გონიერ გასართობათ უხდება. ვისაც დათვალიერება არ შეეზარება, ამ სიტყვების სინამდვილეში ადვილათ დარწმუნდება. მაგრამ, როგორც ახლად დაარსებულ საქმეს სჩვევია, ამ წიგნსაცავსაც ჯერ ბევრი რამ აკლია. ამჟამად მას მოეპოება მხოლოდ 700—800—ოდე (რუსულ-ქართული) წიგნი, რაიცა ძალიან შორს არის საჭირო კომპლექტისაგან. ვიმედოვნებთ, რომ ის უხვი საზოგადოება, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ამ საერო დაწესებულებას, აქაც არ დასტოვებს მას უყურადღებოთ და ამ სადღესო მის ნაკლულევანებას შეავსებს თავისი დაუზარებლობით და ქველმოქმედებით. ამისათვის მივმართავთ ქუთაისის საზოგადოებას და ვთხოვთ—ვისაც ზედმეტი წიგნი, რუსული თუ ქართული, წიგნი მოეპოებოდეს, ნუ დაიშურებს საზოგადო საქმისათვის და გადმოსცეს წიგნსაცავს, რომელიც დიდის მადლობით მიიღებს ამნაირ შეწირულებას და თავის არსებობის მატიანეში ოქროს ასოებით აღბეჭდავს შემომწირველთა გულშემატკივრობას და თანაგრძნობას.

სამკითხველო მოთავსებულია ფ. გორგაძის სახლში, ვორონცოვის სახლის პირდაპირ და ღია არის ხოლმე დილის 10—2 საათამდის და საღამოს 6—9 დე.

ბალახვნის „შოთა რუსთაველის" სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველოს **მზრუნველი კომიტეტი.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვ თქვენი პატივცემულ გაზეთ „სამშობლოს" საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო, როგორც ჩემის, აგრეთვე ჩემი მრევლის მხრივ, ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ მწვანეყვავილის ეკლესიას სახარება ტრაპეზის, ღირებული რვა თუმნათ.

სია შემომწირველთა: ივლიტე ტარიელის ასული გრიგოლაშვილისა, აღათი ფირანის ასული ჯავახაძისა, ცუცუ ლეონტის ასული ქვ რიანისა, მარიამ სიმონის ასული ყუფარაძისა, მინადორა სპირიდონის ასული ვასაძისა, თეო მურზაყანის ასული ყაჭეიშვილისა, ივლიტე პავლეს ასული მანაგაძისა, ოლღა ბესარიონის ასული გრიგოლაშვილისა, ეკატერინე გერასიმეს ასული ხუციშვილისა და მაია ინაკავაძისა.

მღ. ნ. გიორგაძე.

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-94 №-ში ბ. ალ. ლოლაძე თვის „მცირე შენიშვნაში" ეხება მეტად აღმაშფოთებელ ინცინდენტს, რომელიც მოხდა რამოდენიმე დღის წინად თეატრში. და თვის შენიშვნას ათავებს შემდეგი სიტყვებით: „არ ეპატიება მათ, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი თეატრის მოვლა-პატრონობა... მათ პასუხი მოეთხოვება". მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ აღვიარო, რომ მართლა ძრიელ სამწუხარო ინცინდენტი მოხდა, არამც თუ მელპომენას ტაძარში, არამედ არსად მოსათმენი არ არის ის, რაც იმ საღამოს იქ მოხდა, მაგრამ შენიშვნის ავტორს არ აინტერესებს და არც ეხება მას, თუ რათა და როგორ მოხდა ყოველივე. საჭირო კი იყო, მგონი, ინცინდენტის მიზეზიც აღნუსხულიყო და არა მარტო შედეგი. უნდა ვეცადოთ, რომ მოისპოს მიზეზები და შედეგი თავისთავად მოსპობილი იქნება.

არც თეატრის გამგეობას და არც რომელიმე მის წევრს შეურაცხყოფა არ მიუყენებია არავისათვის და მით უმეტეს პოლიციის საშუალებით. ალბათ ავტორი იქ არ ყოფილა თორემ, მგონი, არ დასწერდა ასეთ „შენიშვნას".

პოლიცია თითონ ჩაერია საქმეში და სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენმა ხვეწნამ არ გასჭრა.

პირადად მე არა ნაკლებ ავტორისა ვარ შეწუხებული იმ შემთხვევით და უმეტეს მით, რომ ჩვენ ქართველებმა ჩვენი თავის დაფასება არ ვიცით და წუთიერ სიამოვნებას ვანაცვალებთ ჩვენს თავსაც და ჩვენს სახელსაც, გვავიწყდება ყოველივე ელემენტარული საქციელი და თითით საჩვენებლად ვხდებით, შეიძლება ჩვენი მტრების სასიამოვნოთ და გახახარებლად.

მე მზათ ვარ ყოველთვის ჩემ მოქმედებაში პასუხი ვაგო და რადგანც ამ სამწუხარო შემთხვევას შეეხენ, მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს მოვახსენო ყოველივე, რასაც შევესწარ, და რის მოწამეთაც გავხდი, დრამატიულ საზოგადოებას, რომელმაც სხვათა შორის მეც ჩამაბარა თეატრის მოვლა—პატრონობა და რომლის კრება უნდა მოხდეს შაბათს, ამა თვის ექვს რიცხვს.

დავშთები პატივისცემით ქ.ქ. დრ. საზ. გამგეობის წევრი.

ი. პურადაშვილი.

## შემოწირულება.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ 14 მაისს გამართულ სეირნობის ანგარიში.

**შემოსავალი:**

| | | |
|---|---|---|
| 1) | ბილეთებიდან | 316 მ. და 4 აბაზი |
| 2) | ჩაის სტოლებიდან | 243 მ. 84 კ. |
| 3) | სხვადასხვა გასართობებ. | 391 მ. 71 კ. |
| 4) | ვახშამი | 128 მ. — კ |
| 5) | შემოწირულება | 32 მ. 71 კ. |
| 6) | ყვავილები | 83 მ. 73 კ. |
| | ჯ ა მ ი. | 1186 მ. 89 კ. |

**გასავალი;**

| | | |
|---|---|---|
| 1) | განათება | 47 მ. და 10 მ. |
| 2) | კონვ. ტორტ. მაროჟენნოე | 51 მ. — |
| 3) | მაშხალები, ბომბები, და სხვა | 50 მ. — |
| 4) | ბილეთები, აფიშები გასკ. | 14 მ. — |
| 5) | მუზიკა | 30 მ. — |
| 6) | ჭურჭლები და მებაღის ქირა | 19 მ. 10 კ. |
| 7) | კუკლა, ლენტები | 11 მ. 40 კ. |
| 7) | 500 ც. ფოტოგრ. სურათი [illegible] | [illegible] |
| 9) | მარკების | 20 მ. — |
| 10) | მუშებს | [illegible] |
| 11) | წვრიმალი ხარჯი | 65 მ. 29 კ. |
| | ჯ ა მ ი. | 358 მ. 29 კ. |

| | |
|---|---|
| საერთო შემოსავალი: | 1186 მ. 89 კ. |
| გასავალი: | 358 მ. 29 კ. |
| წმინდა შემოსავალი დარჩა: | 828 მ. 60 კ. |

ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა.

## ს ი ა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოდ 10 მაისს გამართულ სეირნობისათვის შემოსწირეს".

მარიამ ლუტიძისამ 1 მან., პავლე ხვადაგიანმა 1 მან., ოლღა გვინჩიძისამ ერთი ხილის სალფეთქი პატარა ნაქარგი, და კედელზე დასაკიდი პატარა სურათი გიპსისა., სონია შანიძისამ 2 აბ., მეტია მილორავასამ 11 შ., გიორგი თვალაძემ 9 შ., ა. ხიხარულიძემ 10 შ., ევგენი ჯაბუამ 10 შ., ბრეგაძემ დუხი ორი ფლაკონი დიდი და პატარა. ზინობია კვალიაშვილისამ ერთი ცალი საპონი, სერგო ოსეპაშვილმა ერთი ცალი საპონი, აგრაფინა იაშვილისამ ერთი შეკერილი ქალის ბლუზა, ს. ყორყოლიანმა ერთი ცალი ქიმიური კარანდაში. ილარიონ ქუთათელაძემ 3 შ. ზაქარია გაბრიაძემ 1 აბ., ლიზა ბრეგაძისამ ლამბაქი და ფინჯანი ყავისა. ნინა ჭეიშვილისამ 10 შ., მაკრინე ხელაძისამ 10 შ., ევა გვინჩიძისამ 10 შ., საშიკო გურგენიძისამ 10 შ., ეშხა ჯანელიძისამ სტაქანი და ფინჯანი, ერემია შავგულიძემ 1 აბ., ჭიჭიკო ბურჭულაძემ 10 შ., პელაგია აბრამიძისამ 10 შ., მიშა უკლებაშვილმა ერთი ფლაკონი დუხი, ნინა დევდარიანისამ 10 შ., ლიდა ქორჩაშვილისამ 1 მან., მატრონა კუპრაძისამ 1 მან., პუპლია აბესაძის ასულმა სანემსე ბალიში, ნადია ივანოვისამ ერთი ჩითის შეკერული ბლუზა, ნინა სოლოღაშვილის ასულმა მიხაილოვისამ ერთი ჩითის შეკერული რუბაშკა, ეკატერინე გუგუნავას ასულმა ერთი სარუბაშკე ჩითი.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

ფასი ყდით 2 აბაზი.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер." ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „კ ა ზ მ უ ლ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები.

თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ

თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

ა ბ ა ნ ო. აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირვლად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა ა. კოხრიძისა — ქუთაისში.